.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 4 ივნისის
№266 დადგენილება

არქიტექტურის, ურბანისტიკისა
და დიზაინის ფაკულტეტზე შემოქმედებითი
ტურების ჩატარების დებულებაში
დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის შემოქმედებითი ტურების ჩატარების დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს:

ა. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი ვალდებულია დადგენილი წესის თანახმად გაიაროს შემოქმედებითი ტური;

ბ. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილ აქვს შემოქმედებითი ტური, სტუ-ს შემოქმედებით ტურს არ აბარებს და მხოლოდ მის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა დგინდება სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან;

2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს დაამტკიცოს აღნიშნული დებულება წარმოდგენილი ცვლილებებით;

3. საკითხის წარდგენა წარმომადგენლობით საბჭოზე დაევალოს პროფ. გ. სალუქვაძეს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე